საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბოსტნის წალიკა

ბოსტნის წალიკა (Polygonum persicaria), ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე მატიტელასებრთა ოჯახისა. აქვს 20–80 სმ სიმაღლის სწორი ან წამოწეული, დატოტვილი, ზოგჯერ მარტივი ღერო, ლანცეტა ან ხაზურ-ლანცეტა, გრძლად წაწვეტებული, თითქმის მჯდომიარე ფოთლები და მტევნისებრ ყვავილებად შეკრებილი ვარდისფერი ან მოთეთრო ყვავილები.

იზრდება რუსა და მდინარის ნაპირებზე, ტენიან და რუდერალურ ადგილებში საქართ. ყველა რ-ნში. მიწისზედა ნაწილები შეიცავს ტანინს (1,5%), ეთეროვან ზეთს (0,05%), პექტინოვან ნივთიერებებს (5,4%) და სხვ. ხალხ. მედიცინაში იხმარება ბუასილის სამკურნალოდ, შარდმდენ საშუალებად. ფესვისაგან იღებენ ყვითელ საღებავს. კარგი თაფლოვანი მცენარეა.

ლ. ხინთიბიძე